22140543

International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

GEORGIAN A: LITERATURE – STANDARD LEVEL – PAPER 1
GÉORGIEN A : LITTÉRATURE – NIVEAU MOYEN – ÉPREUVE 1
GEORGIANO A: LITERATURA – NIVEL MEDIO – PRUEBA 1

Friday 9 May 2014 (morning)
Lundi 9 mai 2014 (matin)
Lunes 9 de mayo de 2014 (mañana)

1 hour 30 minutes / 1 heure 30 minutes / 1 hora 30 minutos

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a guided literary analysis on one passage only. In your answer you must address both of the guiding questions provided.
- The maximum mark for this examination paper is *[20 marks]*.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez une analyse littéraire dirigée d'un seul des passages. Les deux questions d'orientation fournies doivent être traitées dans votre réponse.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d'examen est *[20 points]*.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un análisis literario guiado sobre un solo pasaje. Debe abordar las dos preguntas de orientación en su respuesta.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es *[20 puntos]*.

© International Baccalaureate Organization 2014

https://xtremepape.rs/

დაწერეთ ***ერთ-ერთი*** *ტექსტის ლიტერატურული კომენტარი. თქვენს პასუხში გათვალისწინებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ორივე მითითების მოთხოვნა.*

1.

საქართველოს რუსების მფარველობის ქვეშ შესვლამდინაც სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო ერთი მიღებული კაცთაგანი მეფესთან. ამას ებარა მთელი მთის ხალხი და ის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებდნენ – დარიელა.

ეს პირი ჯერ წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მაგრამ უკანასკნელ რჩევაზედ, რომელიც მეფის სასახლეში იყო გამართული, შეიტყო მეფის გადაწყვეტილი სურვილი და, როგორც მეფის ერთგულთაგანი, რომელსაც მეფის წადილის წინააღმდეგობა მომაკვდავ ცოდვად მიაჩნდა, დამორჩილდა ბრძანებას და მიემხრო შეერთების მსურველთა.

რჩევის შემდეგ ისევ თავის მთებში დაბრუნდა და, მეფის ბრძანებისამებრ, თავის თავზე მიიღო ზრუნვა მომავალს რუსებზედ.

ის გულმოდგინედ ასრულებდა ამ სამსახურს და ცდილობდა მეფე გიორგის აღსრულებოდა ის წადილი და ის სარგებლობა, რომელსაც მეფე და მისი მომხრენი ამ მფარველობისაგან მოელოდნენ. რუსებმაც ჩქარა შენიშნეს სვიმონ, რადგან დაინახეს იმისი გავლენა მთაში და თავის მხრითაც ჯარების შესახებ მიანდეს სხვადასხვა განკარგულება. რასაკვირველია, ეს იმათთვის სასარგებლო პირი კიდეც დააჯილდოვეს და პირდაპირ მაიორის მუნდირით და ეპოლეტებით მხარბეჭი აუყვავეს.

სვიმონის ამგვარმა მდგომარეობამ შური აღუძრა გაგის, რომელსაც სამუდამო ზრუნვად შეექნა სვიმონის დამცირება, რომ იმისი ადგილი თვითონ დაეჭირა. ამისათვის გაგი შეუჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილს, დაარწმუნა, რომ რუსების შემოსვლის მიზეზი მხოლოდ სვიმონ იყო, და ეს რომ არ ერეოდეს საქმეში და არ უშლიდეს, რუსების განდევნა ადვილი იქმნებოდაო. ბატონიშვილი წინადვე იცნობდა სვიმონს, როგორც ერთ სასარგებლო და ჭკვიან კაცს და ამისთვის იმის დაცემა იქამდის არ უნდოდა, სანამ იმის მომხრობას არ სცდიდა.

ალექსანდრემ, რომელსაც ხევსურეთში თავის მომხრე ჯარები შეეყარა, გამოუგზავნა კაცი სვიმონს და ითხოვდა მისგან სრულს მორჩილებას, ხევიდგან რუსების გარეკას და ამ უკანასკნელებისათვის შემოსასვლელ გზების შეკვრას. ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე პირდებოდა დიდს პატივს და წყალობას, მაგრამ უკეთუ სვიმონ არ დამორჩილებოდა, მაშინ ემუქრებოდა სარჩო-საბადებლის გადაწვას და ცოლ-შვილით ამოწყვეტას.

– როცა დრო იყო, მეც ვიძახოდი: რად გვინდა რუსები-მეთქი! მაგრამ მეფემა ბრძანა, შემოუშვიო, და მეც მეფის ბრძანებას საით გადაუვლიდი? – წარმოსთქვა სვიმონმა და ჩაჰკიდა თავი.

– მაშ ეხლა, ეხლა რას აპირებ?

– ახლა გვიან-ღაა, გვიან! …

– მაშ რა პასუხს აძლევ ბატონიშვილს, იმის მხარეს არ იჭერ?

– არა.

– რას ამბობ? ხომ სულ ამოგწყვეტავს, სახლ-კარს ამოგიწვავს!

– რაი უყო? … თუ რუსების შემოშვება არ გინდოდათ, მაშინ წინადვე უნდა გეფიქრათ, თუ არა და ეხლა, როცა ყველა სიმაგრეები ხელში ჩაიგდეს, მე რით-ღა განვდევნო?

– გაიგე კარგა, რომ რუსებს მეფე მფარველობასა სთხოვს და …

https://xtremepape.rs/

– მეც ეგრე მგონია! … აბა, რაი უყო? მეფეს ეგრე უნდა … – რადაც მწუხარებით წარმოსთქვა სვიმონმა და დეტყო, რომ ის მოქმედებდა თავის
45 სურვილის წინააღმდეგ.

გაკვირვებული მოციქულები ყურს უგდებდნენ სვიმონის გადაწყვეტილებას, ისინი იცნობდნენ სვიმონს მთის კაცად, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის. და ეს კი თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომობის ხალხს მონად აძლევდა! მონად აძლევდა ამისთვის, რომ თვითონაც
50 დარწმუნებული იყო, რომ საქართველო რუსების ბატონობას ვერ გადარჩებოდა.

– მაშ ბატონიშვილს რა პასუხს უთვლი?

– ბატონიშვილსა? ჩემგან ხვეწნა და მუდარა მოახსენე: მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს … თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ,მაგრამ,თუ შუა გავიყავით,მაშინ ჩვენი საქმე წასულია!
55 … ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს! თორემ თუ ეგრე მოვიქეცით, ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით, და რუსები კი თავიანთ წადილს აასრულებენ … ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ღვთისაგან არის დანიშნული, იმის გულის პასუხს კაცი ვერ მიწვდების, – მეფეს ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

60 – უფრთხილდი, სვიმონ, ბატონიშვილი განრისხდება მაგ პასუხით და მაშინ ვეღარავინ გიხსნის.

– რა უყო! … მეფის სურვილს და ბრძანებას ვერ გადავალ და თუ მეფე ბრძანებს, მარტო მე შევებმი რუსებს.

ამ პასუხით გაისტუმრა იმან შუაკაცები, რომელთაც ბატონიშვილს ამ
65 სიტყვების აზრი სრულებით სხვარიგად გადასცეს. იმათ ჩააგონეს, რომ სვიმონ ღალატობს სამშობლოსაც და თითონ მეფესაც, რომ სვიმონს ხალხის მოსვენება და თავისუფლება ბრჭყვიალა ტანისამოსზედ გაუცვლია.

ბატონიშვილმა გამოისტუმრა ჯარები სვიმონის დასასჯელად და გაგის ჩააბარა იმათზედ უფროსობა. ეს ამბავი სვიმონს შეატყობინეს და ის თავის
70 ცოლ-შვილით გაიხიზნა ჩერქეზეთში, თავის ცოლის სამშობლოში, სადაც რამოდენიმე ხანს დარჩა.

სვიმონს ისე საჩქაროდ მოუხდა თავის სახლიდან გაქცევა, ისე მოულოდნელად, რომ ძლივს მოასწრო ცოცხალი თავის გახწევა და საქონელი, სიმდიდრე თუ სხვა ბარგი, ყველაფერი იქ დარჩა და შეიქმნა განადგურებული შემოსეულის ჯარისაგან.
75 სვიმონის სახლი გაცარცვეს, შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს და, რისაც წაღება ვერ შეიძლეს, მთლად ჩაბუგეს.

ალექსანდრე ყაზბეგი, *ელგუჯა* (1881)

(ა) იმსჯელეთ, როგორ ხსნით სვიმონ ჩოფიკაშვილის ქცევის მოტივს და როგორ არის იგი ტექსტში წარმოდგენილი.

(ბ) გააანალიზეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი სვიმონ ჩოფიკაშვილის ზნეობრივი სახის დასახატავად.

https://xtremepape.rs/

2.

ეს რა ეშმაკმა ააბორგა ამაღამ ქარი,
ამიწიოკა, დამირბია მან შთაგონება!
თბილისის ქუჩებს დავედევნე, ვიხმე ამქარი
დავიწყებული ფიროსმანის მოსაგონებლად.

5 აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა, როგორც სიზმარი
(საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი ოცნება),
ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი,
მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება.

მივალ, მხვდებიან საზანდრები, ქუჩის მგოსნები,
10 ბნელთან მებრძოლი უსინათლო მეთარეები,
„ტვინდასეტყვილი“ ნიკალაის ძველი დოსტები,
და ცოცხლდებიან ფიროსმანის მწარე დღეები.

ვეტყვი: „როგორმე მოიგონეთ, ძია-კაცებო,
ლოთი მხატვარი, მარტოსული და მეგობარი,
15 მითხარით რამე ფიროსმანის ბედის გარშემო
და მერე შევსვათ მისი ხსოვნის შესანდობარი!“

– „თვითრჯული“ იყო, აუმღვრია სისხლი თბილისმა,
სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა,
ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა,
20 არაყს დალევდა და ქვეყანას დაგიხატავდა!

– შემოგხედავდა დარცხვენილი, ვერ გაიგებდი,
რა ჭკვისა იყო, რა ჰაზრების და რა გუნების,
უყვარდა მტკვარი, მტკვარზე – ტივი, ტივზე – ტიკები,
გოჭი, მწვანილი და ფრთიანი ორაგულები!

25 – როცა ზაფხული დადგებოდა თბილის-ქალაქში,
ჯავრობდა: ხედავ, ყველაფერი როგორ ხმებაო,
გაეხვეოდა ირემივით მწვანე ბალახში:
სოფელში ვეღარ მივდივარ და მეამებაო …

– არც კოხტა იყო საცოდავი და არც ართვალი.
30 ამაყი იყო, ჩვენ მორჩილად ვიდექით მასთან,
ეჰ … ახლა გახდა ნიკალაი დიდი მხატვარი.
უფასოდ გაქრა, უფასოდ და ახლა დაფასდა!

– ნეტავი ამ დროს მოსწრებოდა მის ნაცნობებთან!
(ვაი, რა უღვთოდ დაიღუპა საწყალმა თავი!)
35 თბილის-ქალაქის ყველა მხატვარს ის აჯობებდა,
არ დარჩებოდა არაფერი დაუხატავი!

https://xtremepape.rs/

ჰყვებიან ასე ფიროსმანის დროის ქადაგნი,
ყველა მათგანში დაუვიწყარ ნიკალას ვხედავ …
დგას ფიროსმანის მოხატული თბილის-ქალაქი –
ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა!

მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ ცხოვრებას მისას,
ცოცხლდება ჩემ წინ მკრთალი სახე ფერების მგოსნის,
მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას
და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი!

ლადო ასათიანი, *ფიროსმანის მეგობრებთან* (1940)

(ა) იმსჯელეთ, როგორ იხატება მხატვრის სახე და მისი ცხოვრება ამ ლექსში.

(ბ) გააანალიზეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი მხატვრის შესახებ თავისი განწყობის გამოსახატავად.

https://xtremepape.rs/